საკონსულტაციო-აუდიტური ფირმა
შპს კონსაუდი
0154 თბილისი, წერეთლის გამზ. № 61

Auditing and Consulting Company
CONSAUDI Ltd
61Tsereteli ave. Tbilisi, Georgia 0154

შ პ ს
"ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2008 წ.

საკონსულტაციო-აუდიტური ფირმა
შპს კონსაუდი
380054 თბილისი, წერეთლის გამზ. № 61
ტელ/ფაქსი: (+99532) 35-01-57, 35-67-56, 35-43-97
8 99 567-842, 8 99 280-406, 8 99 194-977

Auditing and Consulting Company
CONSAUDI Ltd
61Tsereteli ave. Tbilisi, Georgia 380054
phone/fax:(+99532) 35-01-57, 35-67-56, 35-43-97
8 99 567-842, 8 77 419-412, 8 99 194 977

№ დ-11 03.06.2009 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი"-ს დამფუძნებელს

ჩავატარეთ შპს **„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს** თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ბალანსისაგან 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისაგან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის დაპროექტებას, დანერგვასა და ფუნქციონირებას, რომელიც შეესაბამება ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, აგრეთვე სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, აგრეთვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

26.08.1996წ. თბილისი მთაწმინდის რ-ნის სასამართლო № 4/4-635
აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია №№ 013 სერთიფიკატი №№3/187, №№3/188, №№3/189,
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი № 201950996, დღგ სარეგისტრაციო სერტიფიკატი № 04021, 20.09.2000 წელი

გვჯერა, ჩვენ მიერ შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო დასაბუთებული ბაზის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

არ ვადგენთ რა პირობით დასკვნას, ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ გარემოებაზე: როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაშია აღწერილი, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მართლზომიერად მოსალოდნელია ცვლილებას დაექვემდებაროს 2008 წლის ფინანსური ანგარიშგება, თუმცა აუდიტის დასრულების ეტაპზე შეუძლებელია მოსალოდნელი ცვლილების არსებითობაზე მსჯელობა, რადგან არ არსებობს მოსალოდნელი ცვლილების თანხობრივი შეფასებისათვის აუცილებელი პირობა.

აუდიტორი
კ. დათიაშვილი

შპს „კონსაუდი"-ს
დირექტორი: **რ. ძაძამია**

ბ ა ლ ა ნ ს ი

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. № 32*

საქმიანობის დარგი: *საბალანსო ელექტროენერგიის და სარეზერვო სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

აქტივები		31.01.2008		31.01.2007	
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	1	272 162		100 083	
არამატერიალური აქტივები	2	4 000			
გადავადებული საგადასახადო აქტივი		2 810			
სულ გრძელვადიანი აქტივები			278 972		100 083
მიმდინარე აქტივები					
საავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	31 442 904		41 100 249	
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	16 133		9 141	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		1 606 698		2 017 345	
სულ მიმდინარე აქტივები:			33 065 734		43 126 735
სულ აქტივები:			***33 344 706***		***43 226 818***
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი და რეზერვები					
საწესდებო კაპიტალი		200		200	
გაუნაწილებელი მოგება		2 293 714		-111 873	
მიმდინარე წლის მოგება		2 077 363		4 094 785	
სულ კაპიტალი და რეზერვები			4 371 277		3 983 112
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გადავადებული მოგების გადასახადი		40 914		20 017	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			40 914		20 017
მოკლევადიანი ვალდებულებები					
საავაჭრო ვალდებულებები	5	28 068 877		38 247 237	
საგადასახადო ვალდებულებები	6	863 637		975 453	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			28 932 514		39 222 690
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			***33 344 706***		***43 225 818***

დირექტორი ი. მილორავა

მთ. ბუღალტერი ხ. ჩადუნელი

ბ.ა

მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. № 32*

საქმიანობის სახე: *საბალანსო ელექტროენერგიის და სარეზერვო სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

		31.12.2008	*31.12.2007*
ამონაგები	7	**174 772 946**	**139 407 509**
სხვა საოპერაციო შემოსავლები	8	982 404	83 613
შეძენილი ნედლეული და მასალები		(166 887 014)	(130 430 667)
ცვლილება მარაგის ღირებულებაში		6 991	2 596
პერსონალის შენახვის ხარჯები		(2 400 951)	(1 345 006)
ცვეთის ხარჯი		(52 670)	(24 289)
საგადასახადო ხარჯი		(1 929)	(269 865)
მომსახურების ხარჯი	9	(1 867 457)	(2 117 097)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(2 114 094)	(165 465)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**2 438 225**	**5 141 328**
ფინანსური ხარჯები		(133)	(8 068)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		**2 438 092**	**5 133 260**
მოგების გადასახადი	11	(360 729)	(1 038 476)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	12	**2 077 363**	**4 094 784**

დირექტორი: ი. მილორავა

მთ. ბუღალტერი ხ. ჩადუნელი

წლიური ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*

იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. № 32*

საქმიანობის სახე: *საბალანსო ელექტროენერგიის და სარეზერვო სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 2006 წლის 31 დეკემბერს	***200***		***153 383***	**153 583**
2006 წლის შეცდომის კორექტირება			*-111 873*	*-111 873*
ახალი ნაშთი ცვლილებების შემდეგ	***200***		***41 510***	***41 710***
ცვლილება საკუთარ კაპიტალში 2006 წელს				
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი (გადაანგარიშებული)	*0.00*		*4 094 785*	**4 094 785**
დივიდენდები	*0.00*		*-153 383*	**-153 383**
ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბერს (ცვლილების შემდგომ)	***200***		***3 982 912***	**3 983 112**
რეზერვში გადატანა		*2 294 664*	***-2 294 664***	*0*
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	*0.00*		*2 077 363*	*2 077 363*
დივიდენდები	*0.00*		*-1 689 198*	*-1 689 198*
ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბერს	***200***	***2 294 664***	***2 076 413***	***4 371 277***

დირექტორი: ი. მილორავა

მთ. ბუღალტერი: ხ. ჩადუნელი

ESCO ესკო
205170036

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ორგანიზაციის დასახელება: *შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“*
იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. № 32*
საქმიანობის სახე: *საბალანსო ელექტროენერგიის და სარეზერვო სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა*

ზომის ერთეული: *ლარი*

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით

	31.12.2008		31.12.2007	
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	**186 103 595**		**109 403 350**	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(172 296 070)		(99 959 594)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1 795 234)		(1 190 598)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	12 012 291		8 253 158	
გადახდილი გადასდახადები	(12 194 056)		(7 861 421)	
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(181 765)		391 737	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		*(181 765)*		*391 737*
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან				
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(224 749)		(75 310)	
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4 000)		-	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		*(228 749)*		*(75 310)*
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტი დეპოზიტებიდან	-		67 137	
გადახდილი პროცენტი	(133)		(8 068)	
გრძელვადიანი სესხები	300 000		1 769 000	
გრძელვადიანი სესხების დაფარვა	(300 000)		(1 769 000)	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		*(133)*		*59 069*
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		**-410647**		**375496**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**2017345**		**1641849**	
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**1606698**		**2017345**	

დირექტორი: ... მილორავა

მთ. ბუღალტერი ... ნ. ჩადუნელი

ბ.ა

ESCO
ESCO
ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATION LTD
205170036

განმარტებითი შენიშვნები

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდეგში საწარმო ან „ესკო“) ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ სამოქმედოდ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2004 წლის ვერსიის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია 2008 წლის ბუღალტრულ ანგარიშებში ასახულ სააღრიცხვო ინფორმაციაზე და ანგარიშგების გამოქვეყნების ნებართვამდე ხელმისაწვდომ საიმედო ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებს, ხარჯებს, მოთხოვნებსა და ვალდებულებებს.

შენიშვნა 1

ძირითადი საშუალებები (ლარი)

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.08	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.07
	შეძენის ღირებულება				
1	ოფისის აღჭურვილობა	19570	12330		7239.57
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	18316	551		17764.63
3	სატრანსპორტო საშუალებები	197955	150990		46964.64
4	კომპიუტერი, პერიფ. მოწყობილობა	84094	49373		34721.02
5	სხავა მოწყობილობა	30830	11506		19324.61
	ჯამი	**350 764**	**224 749**		**126 014**
	ცვეთა	**ნაშთი 31.12.08**	**ცვეთის დარიცხვა**	**გასული აქტივის ცვეთა**	**ნაშთი 31.12.07**
1	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	4 265	3 163		1101.47
2	ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	7 603	3 924		3679.32
3	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	34 840	24 616		10223.71
4	კომპიუტერი, პერიფ. მოწყობ-ს ცვეთა	23 261	15 054		8207.13
5	სხვა მოწყობილობის ცვეთა	8 633	5 913		2720.05
	ჯამი	**78 602**	**52 670**		**78 602**
	საბალანსო ღირებულება	**272 162**			**78 602**

* ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

** ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

შენიშვნა 2

არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია შეძენის თვითღირებულებით. მისი აღიარება მოხდა 2008 წლის დეკემბრის ბოლოს და შესაბამისად, ამორტიზაცია არ დარიცხულა.

შენიშვნა 3

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	მოთხოვნები მიწოდებიდან*	31 263 944	40 237 702
2	მოთხოვნები მომსახურებიდან	176 791	352 778
3	მოთხოვნები საწ. პერსონალის მიმართ		78
4	გადახდილი ავანსები	1 174	1 732
5	დარიცხული მოთხოვნები		11 591
6	წინასწარ გაწეული ხარჯები	995	9 317
7	საშემოსავლო გადასახადი		370
8	დღგ		486 681
	ჯამი	31 442 904	41 100 249

* **40,237,702** ლარი და **31,263,944** ლარი მოიცავს მყიდველებისათვის დარიცხულ საურავს თანხების დროულად გადაუხდელობასთან დაკავშირებით. საწარმოს მიერ სარჩელი იყო აღძრული ელექტროენერგიის და სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მყიდველი 3 საწარმოს მიმართ. ორი სადავო საკითხის განხილვა დასრულდა. ერთი სარჩელის განხილვა დასრულებულია ორ ინსტანციაში, მაგრამ არ არის განხილული ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ. ორი ინსტანციის გადაწყვეტილების შედეგის გათვალისწინებით მოხდა მოთხოვნის კორექტირება 18.662 ლარით.

შენიშვნა 4

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (ლარი)

	მაჩვენებლები	31.12.08	31.12.07
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	166 866 455	130 435 761
2	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	16 133	9 141
3	მ.შ. საწარმოო მარაგი	16 133	9 141

*სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 5

სავაჭრო ვალდებულებები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	ვალდებულება ელ. ენერგიის მომწოდებ. წინაშე	25 502 129	38 191 957
2	ვალდებულება სხვა მომწოდებლების წინაშე	29 580	19 061
3	მიღებული ავანსი	1 947 946	36 176
4	ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	26	44
5	ვალდებულება დივიდენდზე	589 198	
	ჯამი	28 068 877	38 247 238

შენიშვნა 6

საგადასახადო ვალდებულებები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07*
1	ქონების გადასახადი	2 192	263
2	დღგ	645 926	351
3	მოგების გადასახადი	210 906	974 281
4	სოციალური გადასახადი	1 244	1 244
5	საშემოსავლო გადასახადი	3 369	314
	ჯამი	863 637	976 453

*მე-12 შენიშვნაში აღწერილმა გარემოებამ გავლენა იქონია 2007 წლის საგადასახადო ვალდებულებებზე. მოგებისა გადასახადის შემცირების (237 ლარი) და სოციალური გადასახადის გაზრასთან (523 ლარი) ერთად, გაიზარდა ვალდებულება დამატებული ღირებულების გადასახადზე (351 ლარი) და საშემოსავლო გადასახადზე (314). 2007 წლის მონაცემები მოიცავს აღნიშნულ ცვლილებებს.

შენიშვნა 7

ამონაგები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	შემოსავალი ელ.ენერგიის მიწოდებიდან	170 583 019	135 224 721
2	შემოსავალი მომსახურებიდან	2 227 941	2 145 704
3	სხვა გაყიდვები	7 703	1 949
4	დარიცხული საურავი	1 954 282	2 035 135
	ჯამი	174 772 946	139 407 509

შენიშვნა 8

სხვა საოპერაციო შემოსავლები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	საპროცენტო შემოსავალი	548 575	74 560
2	საკურსო სხვაობა	399 228	9 053
3	ვალდებულების გაუქმება	34 601	
	ჯამი	982 404	83 613

შენიშვნა 9

მომსახურების ხარჯები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	დაზღვევის ხარჯი	7 564	2 395
2	რეკლამის ხარჯი		3 089
3	საიჯარო ხარჯი	209 140	120 070
4	კომუნიკაციის ხარჯი	43 204	38 236
5	გარეშე პირთა მომსახურება	1 607 549	1 953 308
	ჯამი	1 867 457	2 117 097

შენიშვნა 10

სხვა საოპერაციო ხარჯები (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	ელექტრო ენერგიის ხარჯი	10 082	7 689
2	მივლინების ხარჯი	33 803	37 394
3	საკურსო სხვაობა	253 482	79 583
4	საგადასახადო ჯარიმა		38 285
5	წარმომადგენლობითი ხარჯი	1 104	2 514
6	უიმედო ვალის ჩამოწერა	1 796 799	
7	საეჭვო ვალის კორექტირება	18 823	
	ჯამი	2 114 094	45 082

შენიშვნა 11

მოგების გადასახადის ხარჯი (ლარი)

	დასახელება	31.12.08	31.12.07
1	მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	342 641	1 029 084
	მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯის კორექტირება		(237)
2	გადავადებული საგადასახადო აქტივის უკუგატარება		4 137
3	გადავადებული მოგების გადასახადის უკუგატარება მოგების გადასახადის ნორმის ცვლილებით	(5 004)	
4	გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი	25 902	5 492
	გადავადებული საგადასახადო აქტივის სარგებელი	(2 810)	
	ჯამი	360 729	1 038 476

კავშირი საგადასახადო ხარჯსა და საანრიცხვო მოგებას შორის (ლარი)

	მაჩვენებლები	31.12.08	31.12.07
1	საანრიცხვო მოგება	2 438 092	5 133 260
2	გადასახადის თანხა გამოყენებული 15% (2007 წ.20%) საგადასახადო განაკვეთით	365 714	1 026 652
3	გამოუქვითავი დანახარჯების საგადასახადო შედეგი მოგების განსაზღვრისას	19	11 824
4	გადავადებული მოგების გადასახადის შემცირება საგადასახადო განაკვეთის შემცირებით	(5 004)	
5	საგადასახადო ხარჯი	360 729	1 038 476

შენიშვნა 12

2008 წელს აღმოჩენილ იქნა 2007 წელს დაშვებული შეცდომა. შეცდომის რეტროსპექტულად გასწორების შემდეგ, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 2007 წლის შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია შემოსავლისა და ხარჯის მუხლებში შეტანილი ცვლილებებით. ქვემოთ მოცემულია შეცდომის შესწორების გავლენა 2007 წლის ანგარიშგებაზე:

2007 წლის შეცვლილი მუხლები	თანხა (ლარი)
გაზრდილი გაყიდვიდან ამონაგები	1949
გაზრდილი ხარჯები:	
პერსონალის შენახვის ხარჯი	(2 614)
სოციალური გადასახადის ხარჯი	(523)
შემცირებული მოგების გადასახადი	237
შემცირებული წმინდა მოგება	(950)

შენიშვნა 13

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" 27-ე მუხლის შესაბამისად, სისტემის კომერციული ოპერატორი ახორციელებს საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ბაზის ფორმირებას და საბოლოო ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის დამუშავებას. სისტემის კომერციული ოპერატორი გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული ელექტროენერგიის სახელშეკრულებო მოცულობებთან შედარების გზით განსაზღვრავს საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობას, აგრეთვე ახდენს უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასიტემო რეზერვის კვალიფიციურ საწარმოებზე გადანაწილებას კანონდებლობით დადგენილი წესით. საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებისათვის ასევე აუცილებელი კომპონენტია საანგარიშო პერიოდში ქსელში ფაქტიური დანაკარგის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ხდება ელექტროენერგიის მომხმარებელი კვალიფიციური საწარმოების მიერ ელექტროსადგურების სალტეზე შესყიდული ელექტროენერგიის, მათ შორის საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრა.

ბაზრის წესების 16[1]-ე მუხლის "ვ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაცემის ქსელში დაფიქსირებული ელექტროენერგიის ფაქტიური დანაკარგების ოდენობის გაანგარიშება წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის კომპენტეციას.

„ბაზრის წესების" 26-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში ცვლილებების შეტანა ხდება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია ამ აქტის გაფორმებისათვის. არსებული წესი ითვალისწინებს სათანადოდ გაფორმებული და კვალიფიციური საწარმოს მიერ დამოწმებული აქტის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენას, რომელიც ამოწმებს მას და მიღებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა გადასცემს სისტემის კომერციულ ოპერატორს. ამასთან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, კორეტირებული აქტების გათვალისწინებით, გაიანგარიშებს ქსელში ფაქტიურ დანაკარგს. აღნიშნული წესის დაცვით, კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოდგენილია ცვლილებები არსებულ გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში, რაც საჭიროებს უკვე განხორციელებულ ერთიან ანგარიშსწორების მაჩვენებლებში ცვლილებების განხორციელებას. ამასთან ერთად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილია კორეტირებული ქსელში ფაქტიური დანაკარგიც.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე არსებული სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით „ბაზრის წესების" შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ დაზუსტდა და ცვლილება შევიდა 2006 და 2007 წლებში სანდო ინფორმაციად ჩათვლილ მონაცემებში. აღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად აისახა 2009 წლის სააღრიცხვო მონაცემებში და, როგორც ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენა, 2008 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის არსებობს ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცვლილებები მოხდება 2008 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადგენად სანდოდ ჩათვლილ სააღრიცხვო მონაცემებში, კერძოდ კი, რიგი კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოდგენილია ელექტროენერგიის გამომუშავებისა, მიწოდებისა და მოხმარების აქტებში კორეტირებები იმისათვის, რომ ხსენებული ცვლილებები სრულყოფილად აისახოს ანგარიშსწორებაში, აუცილებელია ერთის მხრივ, შესწავლილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებების საფუძვლიანობა, და, მეორეს მხრივ, ამ ცვლილებების საფუძვლიანობის შემთხვევაში, განხორციელდეს შესაბამის საანგარიშო პერიოდებში ქსელში ელექტროენერგიის ფაქტიური დანაკარგების ოდენობის გაანგარიშება მხარეთა მიერ დადასტურებულ აქტებში ასახული, კორეტირებას დაქვემდებარებული საკითხების გათვალისწინებით.

ამდენად, წარმოდგენილი მასალების საფუძვლიანობის შესწავლისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ფაქტიური დანაკარგების ოდენობის გადაანგარიშების შემდგომ სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ანგარიშსწორების მაჩვენებლებში შესაბამისი კორეტირებები, რის თაობაზეც დადგენილი წესით ეცნობება ყველა კვალიფიციურ საწარმოს.